

ღელა

აპოკალიფსის
ილუსტრაციები
და სურათები
სამხრეთის
კავშირებისათვის

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის





მოსკოვის ნიჟინი

ნახატი რ. ხატურუასი

დ ე ი დ ა ნ ი ნ ო

ის აშენებს ახალ სასკოლებს,
ყოველ კედელს სინჯავს ფრთხილად,
რომ ვიცხოვროთ უფრო ლაღად,
უფრო კარგი გვექონდეს ბინა.

ხარანოთა დიდი კბით
ყოველ დილით ადის მძლავრად.
მან არ იცის რაა შიში,
მან არ იცის რაა დაღლა.

— ეს ფანჯარა უფრო ფართო,
უფრო დიდი გამოსჭერთ.

აქ ჩუქურთმა შემოაველეთ,
ამაღლეთ სახლის ჭერი! —

მუშებს ასე დაარბევს,
ზოგსაც ტკბილად ეტყვის ქებას;
და დღედაღამ კალატოხთა
ქრინაშული არა წუდება.

ის მამების გვერდით შრომობს
მკვირცხლი, შეუსვენებელი,
ჩვენი ნინო-ინჟინერი,
ჩვენი ქვეუნი მშენებელი.



4367

ნაბატი ალ. გიგოლაშვილისა


ლესია უკრაინკა

მომხმე უკრაინის დიდი მომღერალი

მიმდინარე წლის 25 თებერვალს შესრულდა 80 წელი გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადებიდან. ქართველმა ხალხმა მოძმე უკრაინელ ხალხთან ერთად დიდი სიყვარულით აღნიშნა ეს დღე.

ლესია უკრაინკა იყო თავისი დროის მოწინავე მწერალი; მის ლექსებში და პიესებში ჩანს უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი და ყველა მშრომელი ხალხისადმი.

უკრაინელ პოეტ ქალს წლების მანძილზე უხდებოდა საქართველოში ცხოვრება და მეგობრობდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან. იგი ვარდაიცვალა 1913 წლის 31 ივლისს საქართველოში, დაბარაში, ხოლო დასაფლავებულია უკრაინის დედაქალაქ კიევში.



ლესია უკრაინა

ა ლ უ ბ ლ ე ბ ი

წითლად ღვივის ალუბალი,
 მწვანე ტოტებს ავსებს,
 ალუბლები ასელებენ
 ზაწაწინა ბავშვებს.
 ბიჭები და გოგონები
 დაპსვევიან გუნდათ,
 ვერ სწვდიებიან, ბუსღუნებენ,
 ატირება უნდათ.
 ბავშვები მიწს წითლდებიან,
 ალუბლები—მადლა,
 განა სვადლე უნდათ სილი,
 იგი უნდათ ახლა.
 „ალუბალო, —ცხარობს ერთი,
 —ასე ლოუებსავესე
 რად ჰკიდისარ კენწეროსე,
 სედ ხეხილის თავსე?“

„იმით, რომ მეტისმეტად
 ვიცი მოგებატრე. —
 ვიდრე სულ არ დაემწიფდები,
 არ მომწევიტო ადრე!“

თარგმანი **ო. შონაშვილისა**



ველი აყვავდება

ირიყრაყა.

ნიავის ქროლამ ველზე ეკალი გამოა-
ღვიძა, ეკალმა ნიავეს უსაყვედურა:

— აღარ დაუცდი გათენებას? რას და-
ჰქრი აღმა-დაღმა? ძილის მიფრთხობ!

— სადაცაა ველზე ხალხი მუშაობას
შეუდგება და გაოფლიანებული მკერდი
უნდა შევეუმრალიო!—უპასუხა ნიავემა.

— რა გახარებს, ნიავე?—ჰკითხა შუ-
რიანმა ეკალმა.

— დიხს, მიხარია! გუშინ ხალხის ლა-
პარაკს ყური მოვკარი: ეს უნაყოფო
ველი აყვავებულ ბაღნარად უნდა გადა-
ვაქციოთო. რა არ გაიხარებს, თურმე:
ხეხილი, ვაზი, პურის და სიმინდის ყანე-
ბი... რა სჯობია აყვავებულ ბაღნარში
ქროლას?!—უთხრა ნიავემა.

— ამ ველს რა აყვავებს? ეს მიწა უწყ-
ლობით დამსკდარი და გამოფიტულია.
მე მწირი ადგილი მიყვარს და აქ იმი-

ტომ ვხარობ. ნურას უკაცრავად, ჩემს
ადგილზე ვაზი ერთ ღღესაც ვერ გაძ-
ლებს,—დაცინვით მიუგო ეკალმა.

— სწორედ ამიტომ სჭირან არხს, აქ
წყალი იღუღუნებს, დედამიწა დაღებება
და ხეხილი გაიხარებს!—უპასუხა ნიავემა.
მზე ამოვიდა. ველზე შრომის სიმღერა
გაისმა. ეკალმა გაიხედა; წერაქვის და
ბარის ლაპლაპმა თვალი მოსჭრა.

ეკალი შეკრთა. ნუთუ მართლდება
ნიავის ნათქვამი?—ფიქრობდა იგი.

შრომის გუგუნე ახლოვდებოდა. სულ
მაღე ეკალი მარჯვდ დაკრულმა წე-
რაქვმა მოზრდილ ბელტთან ერთად ძირ-
ფესვიანად ამოაგდო.

ნიავე კი ღღესაც გახარებული და-
ჰქრის, მშრომელების გაოფლიანებულ
მკერდს ესაღბუნება და მოუთმენლად
ელის იმ ღღეს, როცა ეკლის ადგილზე
მსმობიარე ვაზს წაუხურჩულებს: ხვალ
რთველი დაიწყება!

ი. ბრიჯაშვილი


მ ე გ ო ბ ა რ ი

მოძივლიან შოთას მხარე,
მშობლიური შოა და ბარი,
მიმებნია, მიპოვნია
გულითადი მეგობარი.

ვისაც არ სწამს მეგობრობა,
ქურდიან და მეგობარი.

ამტანია, გამტანია
მხოლოდ ერთი—მეგობარი.

ამიტომაც, ჰატარებო,
გესმათ ჩემი ნუბნარი:
შეიძინეთ, შეიძინეთ,
შეიძინეთ მეგობარი!



არსთა ქალაქი

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

გაზაფხულის კვალი

სატრაქტორო სადგურის საამქრო მთელ ღამეს გუგუნებდა. ვრცელ დარბაზს ურიტხვი ელნათურები ანათებდნენ. დაზგებთან ოსტატები ტრიალებდნენ; ელექტროდენით ამოძრავებული უხარმაზარი ჩაქუჩი ხანგამომშვებით ეცემოდა გრდემლზე დადებულ გავარჯერებულ რკინას.

— დაჰკარით, ვაჟებო, დაჰკარით, — ისმოდა საამქროში შეძახილები. — ხეალ, განთიადისას სამასი ტრაქტორი უნდა აგუგუნდეს! ელდამიწის მკერდზე გაზაფხულის კვალი უნდა გაავლონ ჩვენმა მხვენელ-მთესველებმა, მრავალი მინდორი უნდა გადახნან, აბა, მარჯვეთ, ოსტატებო!

განთიადზე, მოწინავე ტრაქტორი, რომელსაც „კვალიას“ ეძახდნენ, აბუყბუყდა, ორთქლის ქულები ზედიზედ გამოისტყორცნა, სატრისოდენა თვალები დააბრიალა და წამოიძახა:

— უჰ, ხენის დრო მოსულა, კარგ დროს

გამომალეციძეს, ისეთ ძალას ვგრძნობ, სამასი გუთანი რომ მომკიდონ, მაინც არაფერი დამაკლებს!

— აბა, მომყევით, ფოლადის ხარებო! — მიუბრუნდა „კვალია“ ამხანაგებს. — მინდვრები მოუთმენლად ელიან ჩვენს გამოჩენას, ალბათ ყანების შრიალი მოეწარათ.

აგუგუნდნენ ტრაქტორები; იმათი ძალით მიწა აძაგდა; ხმაურზე იქვე მდგომმა კომბაინმაც გამოიღვიძა, ვეება პირი დააღო, ძნის-სალეწი კბილები ააჩხარუნა და ტრაქტორებს შესძახა:

გილოცავთ შრომის განთიადს! წადით, ჩქარა! უქმად ყოფნა მეც მომზერდა, ყანაში ნაფარდი მომენატრა, მარდად გადახანით მინდვრები, მკის თვეც მალე მოვა და მეც ავგუგუნდებო.

მზის ამოსვლამდე დაიდრა ტრაქტორების ქარავანი. მოწინავე, „კვალია“ ტრაქტორზე წითელი დროშა ფრიალებდა. პაპა ლევანი დროშაზე უთითებდა

და ამბობდა: „რომელი ტრაქტორიც უფრო მეტს და ღრმა კვლებს გაავლებს, ეგ დრომაც წინ იმას გაუძღვება“.

ქარავანმა სოფლის ბოლოს საქონლის ფერმას ჩაუარა.

ტრაქტორების გუგუნზე წამოიშალნენ რქადაგრეხილი ხარები და კამეჩები, კარებს რქებით ჯახანდი აუტყეხეს, კარი გამოადეს და გარეთ გამოიშალნენ; გუთნების ხმაურზე მოუსვენრობა დაეტყუათ; ხარ-კამეჩები ქარავანს მიაჩერდნენ, გუთანში შებმა მოუნდათ.

ტრაქტორების გუგუნე შორიდანღა ისმოდა.

ლომა ხარი იქვე მიყუდებულ ურემთან მივიდა და საქედურზე ლოკვა დაუწყობა. პაპა ლევანმა ხელი გადაუსვა, მიეფერა და უთხრა:—ნუ დამიღონდი, ჩემო ლომავ, კიდევ უნდა გიხაროდეს, რომ თქვენი ლელო ფოლადის ხარებს დარჩათ!— შემდეგ თვითონაც უღელს მიაჩერდა, ფიქრებს გაჰყვა და ოცდაათი წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა; მოაგონდა ღირდიტა გუთანში გაბმული ხარ-კამეჩი, უღელზე დასკუბებული მებრეები, და მათი ნადვლიანი „ოროველა“...

პაპა ლევანი ფიქრებიდან ისევ ტრაქტორების გუგუნემა გამოაფხიზლა, მო-

ხუცმა ახალგადახნულ მიწას გაჰხედა და სიხარულით შესძახა:

— მოიტათ, ჩქარა, საესე მარცვლები, გულზე მოვაბნოთ ხნულებს, ველები მწვანე ჯეჯილით შევმოსოთ, ოქროს ყანის ზღვად ვაქციოთ!

შუადღისას კოლმეურნეობის ბელლიდან ხორბლით დატვირთული მანქანები მინდვრისაკენ გაეშურნენ.

მინდორში ხორბლის მიტანა პირველად კაქკაქებმა გაიგეს; კრიხ-კრიხით ახლო-მახლო ქალები სწრაფად შემოირბინეს. ვინც კი შეხვდათ, ყველას ახარეს; გიხაროდეთ, მინდორში იმდენი ხორბლი მოიტანეს, რომ მთებივით დადგაო.

აბაჯბაჯდნენ ხოქოები, აკრიახდნენ შამშვები, აწრიბინდნენ ბოლოქანქალები, ბელურები, და ყველა იქით დაიძრა; ბევრი ეცადნენ საკბილო ეშოვათ, მაგრამ იქაურობას ახლოსაც ვერ მიეკარნენ; შორიდან უყურებდნენ მთესველებს და უკვირდათ, რომ ისინი ძველებურად ხელით აღარ აბნევდნენ თესლს; რაღაც ასპირა მანქანა ხორბალს კვალში მწკრივად ჰყრიდა, ფარცხავდა და თითქოს ასე გაიძახოდა: „არც ერთი მარცვალი არ უნდა დაიკარგოს უგზო-უკვლოდ, ბელელში ერთიასად უნდა დაბრუნდესო“!..



ჩვენი დედები

დედა არის ფეიქარი

დედა არის ფეიქარი,
მქსოველია ცნობილი;
დაზგა მუდამ კარგადა აქვს
გამართული, მოვლილი;
მოსწონთ მისი ნახედავი
აბრეშუმის ქსოვილი.

შინ რომ მოვა, გაგვახარებს
ახალ-ახალ ამბებით,
გვეტყვის: «ღელესაც შეევასრულე
გეგმა გადაჭარბებით».



ღიასახლისი

დედა ღიასახლისია,
მეოჯახე ნამდვიდი,
ჩვენი ბინა სუფთად არის
დალაგებულ-დაგვიდი,
ყოველ ნივთს და ყოველ საგანს
აქვს თავისი ადგილი;
თავის დროზე საუზმე გვაქვს,
თავის დროზე სადილი;
დედა ღიასახლისია,
მშრომელია ნამდვიდი.



დედაჩემი ვატმანია

მე ტრამვაით სეირნობა,
იკით, რატომ მიყვარს?!
დედაჩემი ვატმანია,
მას ტრამვაი მიჰყავს.

და ტრამვის როგორ ზუსტად,
როგორ კარგად მართავს!
წერს—წერს... მოსწევს საჭეს,
ელექტროდენს ჩართავს.

წაიყვანს და გააქროლებს,
ხაზიკ ბევერი მიჰყავს!
დედაჩემი ვატმანია,
მე ის ძლიერ მიყვარს!



თამარ ჩხაიძე

ნახატი ი. სუბიშვილისა

ტყის მეგობრები

— ნუთუ, სულ ასე მარტო უნდა ვიყო, არც და მყავს, არც ძმა, — შესჩიოდა ჩიორას ველზე შემორჩენილი ერთადერთი ფიქვი. — ისევ შენ, ჩემო ჩიორავ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა?

— ჩქარა, ჩქარა მოვფრინდები, — პირდებოდა ჩიორა და მართლაც ყოველთვის ჩქარა ბრუნდებოდა, მაგრამ დღეს რატომღაც შეიგვიანა.

— ალბათ მიმატოვა ჩიორამ, ახლა კი სულ მარტო დავრჩები! — გადასწყვიტა ფიქვმა და უცბად ხმაური მოესმა:

— ჭჷუ — ჭჷუ — ჭჷუ...

— ალბათ აბეზარი ხოქო ზუზუნებს, გაიფიქრა ფიქვმა და მიმოიხედა, მაგრამ ხოქო მის წიწვებზე ნებივრად თვლემდა.

— ნეტავ რა უნდა იყოს?

— ზუზუნი უფრო გარკვევით ისმოდა, უცბა ზეცა უცნაური ფრინველებით დაიბურა:

ალბათ ჩემს გასართობად ჩიორამ სხვა ფრინველებიც მომიყვანა, — გაიფიქრა ფიქვმა, მაგრამ როგორი იყო მისი გაცემა, როდესაც დამფრთხალი ჩიორა მის ტარტებს შეეფარა.

— რა მოგივიდა, ჩიორავ, რად კანკალებს, — შეეკითხა ფიქვი.

— მერე გეტყვი, — უპასუხა ჩიორამ და ცალი თვალით ზეცას გახედა.

— ჭჷუ — ჭჷუ! — ზუზუნებდნენ ფრინველები და ველს თავს დასტრიალებდნენ.

ახლა ისინი სულ ახლოს არიან და ისე ზუზუნებენ, რომ ჩიორამ ფიქვს ჩასჩურჩულა:

— თვალი დახუჭე! — და თვითონ თვალდახუჭული გაინაბა.

— დახე, დახე, არწივები ტყეს მოაშრიანებენ! — ჩასჩურჩულა ფიქვმა ჩიორას და ჩიორამაც თვალი გაახილა: ნერგებით სავსე თვითმფრინავები ველის არწივებით ეშვებოდნენ: ჭჷუუ, ჭჷუუ. — მღეროდნენ ისინი და შრიალა ტყეს მიაფრენდნენ.

— ხა, ხა, ხა! რა სულელი ხარ, განა არწივებია, ეს ხომ თვითმფრინავებია, ეს კი ტყის მეგობრებია, — თქვა ჩიორამ, როცა თვითმფრინავებიდან გადმოსული ადამიანები ველს მოეფინენ და ხეების დარგვას შეუდგნენ.

— აი, იმ წითელ ყელსახვევიან ყმაწვილს შეხედე, გულმოდგინეთ რომ მუშაობს, არც კი იცი, რომ პიონერია, ის ჩემი ძველი მეგობარია, ხომ არ გეგონა, რომ მათი შიშით ვკანკალებდი.

მაგრამ ფიქვი ჩიორას აღარ უსმენდა, მას სულ სხვა რამ იტაცებდა:

ფიქვები, ფიქვები, უამრავი ფიქვები სახლებოდნენ ირგვლივ!

— რა კარგია ერთად ყოფნა, — შრიანებს ძველი ფიქვი და ახლად დასახლებულებს გასძახის: საიდან ხართ, მოკეთებო?

— სანერგეებიდან, დღეს ჩვენი დღეობაა, — ტყის დღეა! — მხიარულად შრიანებენ ახალმოსული ფიქვები და ძველ მოსახლეს თავს უკრავენ.

ჩიორა კი ხან ერთა ნერგს მიაშურებს. ხან მეორეს და შეუწყვეტლივ ჭიკჭიკებს.

რა კარგია, რომ მოხვედლით, შორეულ ტყეში ფრენით აღარ დავიღლები!




ავლაზის რესტავრირებული ახალგაზღვი მოღვაწეობის სტამბა

სტამბა ისეთი წარმოება, სადაც წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იბეჭდება. ჩვეურობაა პეტიციონები, იქნებ სტამბა არ ეინახავთ, მაგრამ ალბათ სტამბის შენობის გვერდით ჩაკედილით და საბეჭდო მანქანების გვერდით გსმენიათ. დღევანდელი ჩვენი სტამბები ეყვლება შესანიშნავ შენობებშია მოთავსებული და იქ ნორჩი თაობის სწავლული წიგნები და გაზეთები მილიონობით იბეჭდება.

მაგრამ იყო დრო, როცა, გარდა ნუბადართული სტამბებისა, ფარული სტამბებიც არსებობდა; შეუძინა რუსეთის სტამბებში ავრძალული იყო მშრომელი ხალხის ცხოვრებაზე წერა, ამიტომ რევოლუციონერები საკუთარ ფარულ სტამბებს აშეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი სტამ

ბა იყო ქალაქ თბილისის კარგებანში, ავლაზარში, ასლანდელ ოცდამეცხე კომისრის სასულიერო რაიონში, კასპის ქუჩაზე. იქ ერთი პატარა სახლის სარდაფში 1903 წლის ნოემბრიდან 1906 წლის 15 აპრილამდე არსებობდა არაღებულური სტამბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტისა, რომელსაც სელმძღვანელობდა დიდი სტალინი.

სტამბის არსებობა პოლიციისთვის შეუძნელებელი რომ ყოფილიყო, სტამბა ააგეს მიწის ქვეშ და ზედ საცხოვრებელი სახლი დაამყენეს; კარშიდანის ვერ ძალადი შესერი შესაფლეს, რომ შეუძინა კანდალმების ჟურნალდება არ მიეზროთ; ამითხარეს დიდი სარდაფი, ჰქონი აკუ-



რის თაღით გადასურეს, ზედ მეტრნახეერის სისქესე მიწა დააყარეს და შერე ერთსართულიანი კოცტა სახლი დაამყენეს. სტამბაში შესვლა-გამოსვლა შესაძლებელი რომ არ ყოფილიყო, კარებიდან კარ კაკეთეს ჩასასვლელი, არამედ ჰქონდნენ; აი, როგორ, ბავშვებით, ამ ნახატსე თქვენ შეგავთ ვსოში ამოყვანილ ჰქონ. ამ ჰქონდნენ კარებით ადიოდნენ შორეუ ჰქონი, იქიდან კი შედიოდნენ სარდაფში, სადაც მოთავსებული იყო სასტამბო მოწყობილობანი.

სარდაფში, დღე და დღე გუბნებდა საბეჭდო მანქანა და მთელი საქართველოს უფასობდა ავლაზარის არაღებულური სტამბაში დაბეჭდილი მართალი პოლემიკური სიტყვა.

სახატო 8. ჩინიზების



ენო ნაკაშიძე

ნახატები ვ. ტორიჭაიხია

დევიკოს და თემურის თავგადასავალი

დევიკოს და თემურის სათამაშო აჩუქეს

დევი, თემური და ხათუნა დიდი მეგობრები არიან. სამივე ერთ ეზოში ცხოვრობს. ერთად დადიან საბავშვო ბაღში. სათამაშოებიც ბევრი აქვთ. ხათუნას რომ უყვლიან დედოფალას, მაშინვე მიაქვს თემურთან და დევიკოსთან, თემურს და დევის რომ უყვლიან,—ხათუნასთან მიაქვთ. თამაშს რომ დაამთავრებენ, სათამაშოებს ერთად ინახავენ მიჩენილ კუთხეში. ბურთსაც ერთად თამაშობენ. ხათუნა და დევი ექვს-ექვსი წლისანი არიან. ისინი ყოველთვის მხიარულად ატარებენ დროს, ახლა კი დევი და თემური მოწყენილები არიან, რადგან ხათუნა აღარ არის მათთან. ხათუნა დედამ სოფელში წაიყვანა, მთელ ზაფხულს იქ უნდა დარჩეს. და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ძია შიომ სწორედ ახლა აჩუქა თემურს და დევის მშვენიერი სათამაშო და ხათუნა კი აქ არ არის.

სათამაშო ჩინური იყო. დიდ ფიცარს ყუთი ჰქონდა მიმაგრებული. ფიცარზე მარტუალს თითს თუ დააქერდით, ფიცარი აიხდებოდა და ყუთიდან ფიცარზე ამოხტებოდნენ გრძელნაწნავიანი ჩინელი კაცები და თმააკცილი ჩინელი ქალები. ფიცარი მოიფინებოდა ჩაის ბუჩქე-

ბით და ჩინელები კრეფდნენ ჩაის ფოთოლს. კალათებს რომ გაავსებდნენ, ისევ აიხდებოდა ფიცარი და ახლა ამოვიდოდა ოქრო-ვერცხლით მოკაზმული სქელი კაცი მზღებლებით. სქელი კაცი ჩაის მკრეფავებს მათრახს აუქნევდა. უცებ ამოფრინდებოდა დიდი ფრთიანი გველეშაპი, ერთხანს ფრინავდა ჰაერში, დაალებდა ხახს და გადაყლაპავდა სქელ ჩინელს და მის მზღებლებს. გველეშაპი ისევ ჩაფრინდებოდა ყუთში, მხიარული ჩინელი კაცები და ქალები ჩაის კრეფას განაგრძობდნენ და მხიარული მუსიკა გაიხმოდა.

რა კარგი სათამაშოა, მაგრამ ხათუნა რომ იქ არ იყო?!

— თემურ,—უთხრა დევიმ,—ხათუნა სოფელში წავიდა?

— სოფელში წავიდა, — მიუგო თემურმა.

— მაშ, ჩვენც წავიდეთ სოფელში, წავილეთ ეს სათამაშო და ვაჩვენოთ.

— დედა რომ არ გაგვიშვებს?

— არა უშავს, ხანამ დედა შინ მოვა, დავბრუნდეთ.

— მაშ, წავიდეთ, წავიდეთ, ვაჩვენოთ!

დევიმ და თემურმა დაკეტეს ყუთი და წაიღეს სოფელში.

სოფლისაკენ.

გზა აღმართში მიდიოდა, კარგა ხანს იარეს. სათამაშო ყუთი ხან თემურს მიჰქონდა, ხან დევის, ხან ორივეს ერთად. გავიდნენ ღიღ მინდორზე. იქ ბევრი ყვავილები იყო. პეპლებიც დაფრინავდნენ, პეპლებს რომ დაინახავენ, ხომ უნდა გამოუდგნენ პატარა ბიჭები, და დევი და თემურიც გამოუდგნენ.

ჩავალაგოთ გულაში საგზალი და წავიდეთ, ნახირი გავრეკოთ!

დევიმ და თემურმა ახლა დაინახეს, რომ ძროხები და ხბოები ბალახს სძოვდნენ მოშორებით.

— თქვენ სად მიდიხართ, ძია?

— ჩვენ შორს მივდივართ ბიჭიკო, აი, მთებზე კოლმეურნეობის საქონელი



ხედავენ: მინდორში სხედან კაცები, ბიჭები, და საუბრობენ. დევი და თემური მივდნენ მათთან და გაჩერდნენ. დაინახეს,—ბიჭები საჭმელს შეეჭკვოდნენ და იმათაც გაახსენდათ რომ შიოდით.

— ძია, პური გვაჭამე,—უთხრა თემურმა.

— პური? აჰა,—უპასუხა ერთმა ბიჭმა და მოუტეხა დიდი ნაჭერი პური და ყველი,—დასხედით, ჭამეთ. სად მიდიხართ?

— სოფელში მივდივართ, ძია, ხათუნასთან, სათამაშო უნდა ვაჩვენოთ, ისეთი კარგია!..

— რომელ სოფელში?

— სოფელში. სოფელი არ იცი? აქეთ რომ არის.

— ჰო, აქეთ სოფელი კი არის,—აბა,

უნდა გავასუქოთ, რომ ბევრი რძე მოიწველოს და ბევრი ყველი გაკეთდეს. სოფელში თუ მიდიხართ, აი, აქეთ არის, იმ ბილიკით იარეთ და სოფლის ღიღ გზაზე გახვალთ.

დევი და თემური გაუდგნენ ბილიკს, იარეს, იარეს და გავიდნენ ღიღ შარაგზაზე. მზე მთებს მიეფარა, თანდათან დაბნელდა, გზა აღარ ჩანდა, სოფელი არსად იყო.

გზის პირას ტყეა, სიჩუმეა... საღლატ, შორს ქოტი იძახის.

— ვინ ყვიროს? მეშინია, შინ მინდა,—თქვა თემურმა.

— მეც შინ მინდა,—ატირდა დევიც.

— აქ დავიმალეთ,—დაიძახა თემურმა, ორივენი შევარდნენ ტყეში და ბუჩქებს მოეფარნენ

ბუჩქებიდან შეშინებული კურდღელი გამოვარდა, ფაცხაფუცხით გადაახტა დევიკოს ფეხებზე და მოკურცხლა.

უჰ, როგორ შეშინდნენ დევი და თემური!

— ვაიმე, მგელი, — იყვირა დევიკომ.

— დედიკო, მგელი! — იყვირა თემურმაც.

ამ დროს გაისმა გუგუნრი, გზაზე მანქანა მოდიოდა, ბავშვები ისევ შარავნაზე გამოხტნენ.

— ძიებო! — დაიყვირა თემურმა.

— ძიებო! — დაიყვირა დევიკომაც.

მანქანა გაჩერდა.

— ვინ გვეძახოდა? — იკითხა ერთმა ძიამ.

— ძია, ჩვენი ვართ...

— ვინ თქვენ? ამ ღამეში აქ რა გინდათ?

— სოფელში მივდივართ, ძია, გზა გვასწავლეთ.

— ერიპა, სოფელი სად არის! ხუთი კილომეტრი მაინც იქნება.

— როგორ გაჩნდით აქ? — ჰკითხა მეორემ.

— ხათუნასთან მივდივართ, ძია.

— ხათუნა ვინდა?

— ხათუნა არ იცი? ჩვენი ამხანაგია, სოფელში წაიყვანა დედამ.

— აჰა, აი, რა ყოფილა! თქვენ ვისი შვილები ხართ, რა გქვიათ?

— ძია, მე მქვია, — აქ თემურს გაახსენდა, როგორ ეძახდა მას ხანდახან მამა:

„თემურლენგ“, როგორ მოსწონდა თემურს ეს სახელი და რომ მეტად მოეწონებინა თავი, ყოჩაღად უთხრა:

— მე მქვია თემურლენგი.

— თემურლენგი? ბიჭო თემურლენგი ჩვენი მტერი იყო, შვიდჯერ მოაოხრა საქართველო და შენც იქნება სოფლის აოხრებას აპირებ, ჰა? შენ რაღა გქვია, ბიჭიკო?

— მე, მე, — წარმოთქვა შეშინებულმა დევიკომ, — მე დევი მქვია, ძია, მაგრამ შენ ნუ გეშინიან, ნამდვილი დევი კი არა ვარ; ბიჭი ვარ. აი, ნახე, ცხრა თავი ხომ არა მაქვს...

კაცებმა გადაიხარხარეს.

— აბა, მოდი, ჩასხედით მანქანაში! — უთხრეს ბიჭებს.

ორივენი ჩაუსხდნენ მანქანაში მგზავრებს, ყუთიც გვერდით დაიდგეს და გულდნე გზას.

(დახასრული შემდეგ ნომერში)

ანდრო შიპუაძე

ნათელას წერილი გურამს

ჩემო ძამიკო, გურამი, მივიღე შენი სურათი, რა კარგი ბიჭი გამხდარხარ, ნამდვილი გმირი, გულადი.

მოწაფის ფორმა გამშვენებს, ხელში ვიჭირავს წიგნები, ალბათ, სკოლაში დადიხარ, მწამს, ხუთოსანი იქნები.

მე თუ მიკითხავ, კარვად ვარ, მაგრამ მაწუხებს ძალიან, რომ შენთან ჩამოსასვლელად ერთი დღეც არა მცალია.

დედოფალა მყავს პატარა, სულ იმის მოვლას ვუნდები,

მთელი დღე ერთად დავდივართ როცა ბალიდან ვბრუნდები.

კაბებს ვუკერავ, პირსაც ვბან, თანაც აკვანში ვაძინებ, დიდი ეშმაკი გოგოა, მუღამ მალხენს და შაცინებს.

შენ თუ ჩამოხვალ, ვაგაცნობ, ნახავ, რა კარგი ბაღლია, დაწვება — თვალებს დახუჭავს, აღგება — არის თვალლია.

ჩურჩხელაც უყვარს, ვაშლებიც, ჩამოიტანე კალათით; მე კი არ მინდა, არამედ გთხოვ ჩემი დედოფალასთვის!



ქ. გომიზაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

ტყის სტუმარი

ვ. გოგიაშვილის ზღაპარი „ტყის სტუმარი“ პრეპირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ადკვ ცენტრალური „კომიტეტის მიერ 1950 წელს გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებთა კონკურსზე. იბეჭდება შემოკლებით.

გაზაფხულის დარია,
ფრინავს ჭია-მაია.
გაღამწვანდა ბუნება,
შეიმოსნენ ტყეები,
ვიშ, რა კარგი ყოფილა
გაზაფხულის დღეები.
აგერ შაშვი ჭახჭახებს,
ცაში დაჰქრის ტოროლა.
გუნდლან ფრენენ ჩიტები,
განა თითო-ოროლად!
ნაკადული რაკრაკებს,
მიიჩქარის თრთოლივითა,
არე-მარეს გასძახის:
— გაზაფხული მოვიდა!
ნაზი სიო ჩურჩულებს
აქეთ-იქით ქროლივითა:
— ჩიტუნებო, იმღერეთ,
გაზაფხული მოვიდა!
ტყის ბაბუა ტყეში ზის,
მზიარულად ხარხარებს,
ის გაზაფხულს შენატრის,
გაზაფხული ახარებს.
უცბად ბაბუ შეჩერდა,
აქაქნია ხელი და,—
ყველა ერთად მობრძანდა
ტყიდან, მინდორ-ველიდან
აგერ, შეხეთ, ნელ-ნელა,
ამოვიდა ენძელა,
გაიშალნენ იები,
თეთრი აკაციები,

აქლურტულდნენ ჩიტები,
სიოც ქროდა ქროლივითა,
გასძახოდნენ ყველანი:
— გაზაფხული მოვიდა!
მრავალფერად მორთულა
დაქარგული ველები,
თმახუჭუჭა ნუგზარი,
მოჰქრის „ცხენის“ ჭენებით.
— „აჩუ-აჩუს“ დასძახის,
„ცხენს“ გადაჰკრა მათრახი,
მიჰქრის, ყვირის შორიდან:
— გაზაფხული მოვიდა!
მუხის ძირში ვიღაც ზის,
აღვილიდან არ იძვრის.
ხელ-ფეხი აქვს ტოტების,
ტანსაცმელი — ფოთლების...

დინჯად ზის და იცინის,
სახე მთვარის ფერი აქვს,
აკაციის ყვავილის
თეთრი თმა და წვერი აქვს.
კაკლეს მწვანე ყვავილის
გასწოლია წარბები,
კბილები აქვს სიმიანდის
კოხტა, თეთრი

მარცვლების.
ცხვირი — აძვის ნაყოფის,
ტუჩი — წითელ ვარდისა,
ლოყები აქვს ვაშლისა,
ყური — გაჭრილ კაკლისა.
მწიფე მავლის თვალეებით
იციკრება ნდობითა,
გააქნია ხელი და
სიოც ქროლივით მოვიდა:
— აბა, ჩემო ნიაკო,
ტკბილო, ალერსიანო,
აქონრილი ხეების
ინახულე ტყეები?
ენძელები, იები,
თეთრი აკაციები,
ყვავილები ველებს?
მოჰყევ სვენებ-სვენებით:
ტყეში რა ამბავია,
მითხარ, კარგად არიან?
— ტყის ბაბუავ, კეთილო,
დავიქროლე მთა-ბარი,
ყველას, ყველას ვუამბე
გაზაფხულის ზღაპარი:





ნაკალულებს, წყაროებს,
ყვავილოვან ბაღნარებს,
ყურცანცალებს, ჩიტუნებს,
ბავშვებს,

დიდს თუ პატარებს.
ბიჭუნა რომ შემომხვდა,
ნეტავ მყავდეს ძმობილად,
უნდა გითხროთ:

მართლაც რომ
კარგი ბიჭი ყოფილა. —
თქვა ალერსით ნიავემ,
ტყე შეაკრთო შრიალმომ.
ბაბუს წვეფრი ჭალარა
მზის ღიმილმა დაჰფარა...
მიჰქრის ბიჭი პატარა,
„ცხენმა“ სულ არ დაღალა,
ხედავს: ლამაზ ყვავილსა
სიო არხევს ნარნარი,
შუაგულში ჩამჯღარბი,
სიტკბოს სწუწის

ფუტკარი...
— რას ზუზუნებ, ფუტკარო,
გულმოსული ნუ ხარო,
მომღერალი თუ ხარო,
ყვავილს ნანა უთხარო. —
თქვა ნუგზარმა... ყვავილი
შეარხია ნელ-ნელა,
შეტორტმანდა ენძელა,
ფუტკარს წუწნა ენძელა:
— შენ კეთილი ბიჭი ხარ,
კვიანი და ღინჯი ხარ.
ფუტკარი ვარ მშრომელი,
მეგთვის კარგის მღომელი.

სად არ დაფერენ, სად არაა,
ხელს ნუ მიწლი, პატარავ;
თავს ვეველები ყვავილებს.
გულში ცუდს არ გავივლებ;
რა ვქნა, არა მცალია,
ვშრომობ, ჩემო ძამიავ.
ბევრს,—განა მარტო მე,
წვენი

ნესტარით ვაგროვებთ;
თვალს რომ მიგეფარებით,
სკისკენ მივეჩქარებით.
სკა ხომ ჩვენი სახლია,
ტკბილს გიმზადებთ

შაქრიანს...
ჩვენც მივირთმევთ, ცხადია,
მაგრამ
თქვენც ხომ გპირდებით, —
ზაფხულობით, ზამთრობით,
თაფლით

გიმასპინძლებით, —
თქვა და ფრთები გაშალა,
სტუმარს როდი აცვალა!
შორს გაფრინდა მშრომელი
ჩვენთვის კარგის მღომელი,
დაჯდა ბიჭი პატარა,
თვეი მორცხვად დახარა...
ცელქმა სიომ ამბავი
ტყის ბაბუას ახარა...
მიჰქრის ბიჭი პატარა,
ცხენმა როდი დაღალა;
—ახლა რა გავაკეთო?
მოვიფიქრო!... ჰო, მართლა!
რა კარგია! ამ ხეზე
საქანელს ვავმართავ...
რა ლამაზი ხე არის,
ვერ სჯობია ნაძვებო,
თოკიანათ ამ ხეზე
ჩემებურად ავძვრებით. —
თქვა და უცბად „ცხენიდან“
ის ყოჩაღად გადმოხტა,
მაგრამ რატომ შეჩერდა,
რას უტკერის, რა მოხდა?!
— არა! — ფიქრობს

ნუგზარი, —
ეს ხომ ნორჩი ხე არი!
თოკი ტოტს რომ ჩავაბა,
უეჭველად მოტყდება!

ცოდვა არის საწყალი,
დაქენება და მოკვდება. —
ფიქრობს, და მოკრძალებით
ხეს მიაპყრო თვალეობი,
ამოდრავდნენ ტოტები,
აშრიალდნენ ფოთლები:
— შენ, კეთილი ბიჭი ხარ,
კვიანი და ღინჯი ხარ!
მეც შენსავით ვიზრდები,
კარგ საჩუქარს გპირდები;
მე ხომ ტკბილი მსხალი ვარ,
შემოდგომის თვალი ვარ,
მიხარია, მინდორში
„ცხენით“ რომ

დაეღარუნებ.
ამ ზაფხულში ნაყოფით
მაგ პირს ჩაგიტკბარუნებ. —
თქვა მსხალმა და ტოტებით
სტუმარს მიუაღერსა,
ნიავე კი ბიჭუნას
უკაცუნდა თვალეობა.
— გამაღობ, მსხალა

შაქრავ, —
ღიმილით თქვა პატარამ,
ცელქმა სიომ ამბავი
ტყის ბაბუას ახარა...
მიჰქრის ბიჭი პატარა,
რბენამ კი არ დაღალა,
მიჰქრის „ცხენის“ ქენებით,
მღერის ყელმოდერებით.
უცბად ნუგზარს მოესმა:
— გამიგონე, პატარავ,
ბორბოტებას, სიკეთეს,
ვერასოდეს დაჰფარავ! —
შემობრუნდა ნუგზარი
ქაჩორა და შეუთვალა,
ხედავს: უცხო ბაბუა
მუხის ძირში დამჯღარა,
დააკვირდა, ვერ იცნო,
შეკრთა ბიჭი პატარა.
მაშინ ღინჯმა ბაბუამ
კვლავ შესძახა: — ნუგზარო,
შვილო, ჩემსკენ, წამოდი
ვეგრე ჩუმად ნუ ხარო.

აქ მოფორინდი, ფუტყარო,
ნუგზარს ნანა უთხარო.
ყვევილებო, იებო,
მსხლეზო აკაციებო,
რატომ არის მდუმარი,
აქ მომგვარეთ, სტუმარი! —
ამოვიდნენ იები,
მსხლეზი, აკაციები,
გამორბიან ნუკრები.
თავს იყრიან ფუტყრები.
ჩიტუნებმა, კურდღლებმა,
თავი კრძალვით დახარეს,
ამ ბიჭუნას სიკეთე
ტყეში ყველას ახარებს.
— ნუგზარ, ბიჭო, ლაბუა,
შენ გეძახის ბაბუა, —
ესმის ნუგზარს ძახილი,
ესმის მისი სახელი...
ძლივს გადადგა ნაბიჯი,
გაუბრწყინდა თვალი და
მეტად გაოცებული
ბაბუსკენ წავიდა:
— შენ კეთილი ბიჭი ხარ,
ქკვიანი და დინჯი ხარ;
იცი როგორ მემამა
რაც მიაშბო ნიაშმა.
მხოლოდ კარგებს გადარებ;
შენ რომ ეზო დაბარე,
და ნერგები ახარე, —
მეც ერთ ამბავს გახარებ:
შენი ნატვრა, პატარავ,
დღესვე ავისრულდება,
აქ თუ გაზაფხულდია,
იქაც გაზაფხულდება! —

თქვა ბაბუამ ღიმილით,
ვააქნია ხელი და
მოხატული ჰეპლები
გამოფორინდნენ ველიდან.
და ტყის ნორჩი სტუმარი
გააცილეს ნუგზარი.
ზუზუნებდნენ ფუტყრები,
კუნტრუშებდნენ ნუკრები...
მირბის ბიჭი პატარა,
სიხარულმა დაღალა...
სწრაფად ველარ მიჰქროდა,
გზაში ასე ფიქრობდა:
ეჰ, ბაბუსას ნათქვამი
ნეტავ ამიხდებოდეს,
ჩემი ეზო, გაშლილი
ბაღად დამიხედებოდეს! —
დგას და უცქერს ნუგზარი
სახლთან გაჩერებულა,
ლამაზ-ლამაზ ფერებით
ეზო დამშვენებულა,
უკვირს: მისი ბაღნარი
როდის აყვავებულა?!
— დედაე! რას მოვესწარი!
ჩემი ეზო ეს არის? —
დედამისი, ხალისით
გამოვიდა გარეთა,
მაგრამ ამას რას ჰხედავს!
ვერ სცნობს არე-მარესა.
— ხედავ, დედა, ბაბუსას
ჩემთვის უთქვამს მართალი,
რა ლამაზი ბაღია,
ამისრულა ნათქვამი...
— რა ნათქვამი... ვინ ნახე?
— ტყის ბაბუა, დედიკო,
მომეფერა, შემაქო,
შენი ბიჭი მხნედ იყო.

— რისთვის შვილო?
— რა ვიცი...
— თქვი: მოხუცს რა
უთხარი?
— არაფერი... მინდორში
არ მოვალეი ფუტყარი...
არ დავტყევი ტრატები,
არ გავქეღე იები,
არ დავხოცე შურდულით
ქრელი ჩიტუნები.
კაცი იჯდა ხის ძირას
თეთრად გადაპნტილი,
ასე მითხრა ბაბუამ:
ბიჭი ხარო კეთილი.
შეხე, დედა, რა კარგად
თამაშობენ კურდღლები;
ზუზუნებენ ფუტყრები,
ნავარდობენ ნუკრები,
ხტიან, ტკბილად მღერიან,
ყველა ბედნიერია. —
თქვა და უცებ დედიკოს
ჰკითხა ჩაფიქრებითა:
— მითხარ, დედი, ბაბუამ
რად შემამკო ქებითა?
ან ასეთი ბაღნარი
ჩემს ეზოში რად არი?! —
დედამ ნუგზარს აღერსით
ტკბილად ახედ-დახედა;
უცხად გულში ჩაიკრა,
დაუკოცა სახე და
უთხრა: — უნდა ისწავლო
ცხოვრებაში რაც ხდება,
შენი ნამოქმედარი
ისევე შენვე დაგხედება.
დაისვენე ამ ბაღში,
დაჯექ, სული მოითქვე,
შვილო! რასაც დათესავ,
მუდამ იმას მოიძქე!



ურწყავში

— ეპეი, აქეთ, ბიჭებო, გოგოვებო?— უყვიროდა თენგიზი ამხანაგებს და ყვავილებით საესე სათიბიდან ქულს ჩქარ-ჩქარა უქნევდა.

თენგიზი რგოლის მეთაური იყო, კატაბარდას აღმოსაჩენად დაწინაურებულიყო და მწვანით გალანდებულ ურწყავის სათიბში ეს სამკურნალო მცენარე ბლომად ეპოვა.

— მოვლივართ, მოვლივართ!— გასძახეს ბავშვებმა და სწრაფად დაიძრნენ. ყვავილებით საესე სათიბს ისინიც შეესივნენ და აღტაცებით წამოიძახეს:

— უჰ, რამდენია! ყოჩაღ, თენგიზ; ბლომად დაგკრეთ! მასწავლებელს როგორ გავახარებთ!

— იცით, ბიჭებო, ამ ყვავილებიდან რამდენი ჭიკა ვალერიანის წვეთი ვაკეთებდა?

— ლაბარაკს კი ნუ მოუნდებით, ხელი მარდად გაანძრით, რომ გეგმის შესრულებას ჩვენც არ ჩამოვრჩეთ!— შენიშნა ნაწულიმ და ლურჯთვალემა კატაბარდას გულმოდგინედ დაუწყო კრფა. ყოჩაღი გოგონა ამ საქმით ისე ძლიერ გაერთო, რომ ვერ შეამჩნია ამხანაგებს როგორ დასცილდა; დღეს გაღმა კატაბარდა ბლომად ამოსულიყო. ნაწულიმ ტობრაკი მალე გაასო. ამ დროს სუსხიანმა სიომ წამოუბერა, ცა მოღორუბლულიყო და საწვიმრად გამზადებულიყო. პირველად რომ დაიჭუბა და მთა და ბარმა გრვინით ხმა მისცა, მაშინ აიღო ნაწულიმ თავი, ირგვლივ რომ ვეღარავინ დაინახა, შეერთა და ამხანაგებს გასძახა:

— ეპეი, სანდრო, ვახტანგ, სადა ხართ!

ამ დროს, ძლიერ გაიღვია და ისე დაიჭუბა, რომ ნაწულის შიშით გააჭრულა.

აბა, ჩემი სიყოჩაღე ახლა გამოჩნდება!

— გაიფიქრა ნაწულიმ და ტობრაკს დაეჭიდა, მაგრამ ტობრაკი უკვე მძიმე იყო.

ნაწულიმ ამხანაგებს კიდევ რამდენჯერმე დაუყვირა, იქნებ როგორმე მომეშველნენო. მართლაც ორიოდვე წუთის შემდეგ მთებში თითქოს მისი საწელი ყრუდ გაისმა და ნაწულის გული მოეცა.


— აქეთ, აქეთ!— უფრო ხმამაღლა დაუყვირა გოგონამ და სერიდან ახლა ვარკვეული ძახილი გაიგონა; ოთხი, ყველაზე მარჯვე ბიჭი თენგიზის მეთაურობით ნაწულის საძებნელად წამოსულიყო.

დანარჩენი ბავშვები თენგიზს კლდის ქვემოთ გამოქვაბულში შეეფარებინან. ნაწული რომ იქ არ აღმოჩნდა, შეფიქრიანებული ბიჭები გამალენით დაეძებდნენ. ბიჭებმა ნაწულის კვალს მალე მიაგნეს. ტობრაკი ჩამოართვეს და ყველამ გამოქვაბულისაკენ გასწია. გამოქვაბულში შევიდნენ თუ არა, ისეთი კოკისპირული თქეში წამოვიდა, რომ მთებიდან ნაკადულები ღრიალით მოაწყდნენ და ქვების რახარუხით დაბლობისაკენ დაემშენენ.

— ეჰ, ნაწული, შავი დღე არ დაგადგებოდა, ბიჭებს დროზე რომ არ მოესწროთ და არ ამოეყვანე?

— უკაცრავად, — ამაყად უთხრა გოგონამ, — თქემის დროს იქ ვაჭერდებოდი? ტობრაკს ლოდებს დავადებდი და მე იქვე წიღლის ხეზე ავიდოდი. მართალია დამასველებდა, მაგრამ ვერ მომიტაცებდა. ავიერ კიდევ გამოიღარა, ხედავთ, მზე როგორ გამოიკაშაშა! — თქვა ნაწულიმ და გამოქვაბულიდან გამოვიდა.


წვიმამ სწრაფად გადაიღო. ცხრათვალა მზემ ქვეყანას ისევ ტბილად გაუცინა და პირდაბანილი მთა-ბარი უფროს კეკლუცი სახით გამოახდეს; ბავშვებმა კატა ხანს კიდევ მოიცადეს, დაქანებული ბილიკები შეშრნენ თუ არა, ტობრაკები ზურგზე მოიგდეს და სოფლისაკენ სიმღერით დაემშენენ.



1. სისწრაფეში სახელგანთქმული კურდღელი მეგობრებში ტრაბახობდა: ვისაც გინდათ შევეჯიბრებო, ვერავინ გამასწორებსო! გულუბრყვილო ცხოველებს სჯეროდათ ყოყღოჩინასი და თხამთავომოშონე კურდღელს სურათიც კი გადაუღო.



2. იქვე მდგომმა იხემა ეშმაკურად უთხრა კურდღელს: მოდი, მე შემეჯიბრო! კურდღელს იხვის ნათქვამი სიცილიად არ ეყო: კარგი! დიდხანა გულიანად არ მიცინია და შენი ბაჯბაჯი გამამხიარულებსო!




3. ცხოველებმა თავი მოიყარეს, დანიშნეს სარბენი მანძილი და ნიშანის მიცემის შემდეგ იხვი გაიქცა: კურდღელი კი არხინენდ იღვდა და გაიძაბოდა: რა შეჩქარება, სულერთია გავასწორებო!



4. გზაზე ტბა უნდა გადაელახათ, ის იყო, კურდღელი მეტოქეს უნდა დასწეოდა, რომ მსხერხებული იხვი ტბაში შეეკურდა და გზა მოკლედ გადაეჭრა, კურდღელი კი ნაპირთან შედგა.



5. დაბნეულ ყურცქვიტას იხემა მიიძახა: თუ ბიჭი ხარ, დამეწიო. მოპკურცხლა ყურცქვიტამ, ტბის ირგვლივ მირბოდა. ბაყაყებმაც კი სიცილი დააყარეს.



6. კურდღელი თავს არ იზოგავდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. იხვი დანიშნულ ადგილას პირველი მივიდა. არაქათგამოღებულ კურდღელს მასურებლებმა მიიძახეს: რა გეგონა მცვეხარო, — შენი იყო მიიანაო!

ბარის სა
ქართული
ენების



ბავშვალა ბრავნიწილი

ჭკვიანი დაია

ნახატი შალვა ცხადაძისა

ეს დათუნაც, დედოფლებიც
 შელებს არ აჩერებენ;
 ხან რვეულებს დაჯღანინან,
 ხან ფერადებს ეკებენ.
 განა მართლა მე ვარ ცულები,
 სულ ამათი ბრალია,
 მთელ დღეს ვტუქსავ, მაგრამ მაინც
 ონაჯრები არიან.

ქვამ კი ასე დამბინარა:
 არ მიუშვას ახლოსო,
 ჩემს ნახატებს შენ ეგებრებ,—
 სელი არეინ ახლოსო.
 წუნარად ვიყოთ, იმის ნივთებს
 შელს ნუ ვახლებთ ნურავინ!
 — რა ჭკვიანი დაიკო შევას!—
 ასე იტყვის გურამი.

ყდახე: „გაზაფხული“ ნახატი აღ. ვეფხვიძისა

ქართულსაგანთა რედაქტორი რევაზ მარგალიტი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ზურჯანაძე, ჯ. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მ. აფხ. მარგალიტი, ი. სიხარულაძე, ნ. შანაველი, შ. ცხადაძე.

Дети и взрослые вместе с родителями читают журнал ЦК ЛКСМ Грузии № 3, Март, 1961 г. Тбилиси, Ленина 14. Детям выдают Грузии саблиту. Редакция: Тбилиси, ул. Тбилиси 14. Саблиту № 3-57-18 გამოც. № 3, 78 სტამბის შედეგად 200,000 ტომიკი 700 სუ 00001 ტექსტი ახსოვლია დ. პ. ბერიას მახლობის პოლიგრაფიკულმა ბეჭდვით. მუშაობის სტამბის კონკრეტული დახვეწილი ოსტების სისტემის მანქანაზე „ბარია ვოსტოკს“ სტამბის თილისი, რუსთაველის ქროს. № 42.

